მე ვკითხე: "ო, ალლაჰის მოციქულო, რა არის ჩვენი ცოლის უფლება ჩვენზე?" მან მიუგო: «რომ აჭამო, როცა თავად ჭამ, და ჩააცვა, როცა თავად გაცვია ან თვად იმოსები, ნუ დაარტყამ სახეში, ნუ შეარცხვენ მას და ნუ მიატოვებ, გარდა სახლის შიგნით

მუავია ალ-ყუშაირიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მე ვკითხე: "ო, ალლაჰის მოციქულო, რა არის ჩვენი ცოლის უფლება ჩვენზე?" მან მიუგო: «რომ აჭამო, როცა თავად ჭამ, და ჩააცვა, როცა თავად გაცვია ან თვად იმოსები, ნუ დაარტყამ სახეში, ნუ შეარცხვენ მას და ნუ მიატოვებ, გარდა სახლის შიგნით».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: "რა არის ცოლის უფლება ქმარზე?“ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩამოთვალა რამდენიმე საკითხი, მათ შორისაა: პირველ რიგში: ნუ დაიტოვებ საკვებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის; არამედ აჭამე მას ყოველთვის, როცა თავად ჭამ და იკვებები. მეორე: ნუ დაიტოვებ სამოსსა და ტანსაცმელს მხოლოდ საკუთარი თავისთვის; არამედ ჩააცვი მას, როცა თავად გაცვია, და როცა შეძლებ მის შეძენას. მესამე: ნუ დაარტყამ (რბილად და არა ისე, რომ რაიმე ეტკინოს), გარდა საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში. თუ დისციპლინისთვის ან ვალდებულებების მიტოვების გამო საჭიროა დარტყმა, ის უნდა იყოს მსუბუქი და და არა მტკივნეული. სახეში დარტყმა აკრძალულია, რადგან სახე ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ორგანოა, რომელიც შეიცავს პატივსაცემ და ნაზ ნაწილებს. მეოთხე: არ შეურაცხყო ის და ნუ ეტყვი: „ალლაჰმა დაამახინჯოს შენი სახე, ნუ დაუკავშირებ მას ან მისი სხეულის რომელიმე ნაწილს სილამაზის საწინააღმდეგო სიმახინჯეს, რადგან ალლაჰმა შექმნა ადამიანის სახე და სხეული და მან ყველაფერი სრულყოფილად და ლამაზად შექმნა, შექმნილობის გაკიცხვა უბრუნდება თავად შემოქმედის გაკიცხვას, და ალლაჰმა დაგვიცვას ამისგან! მეხუთე: ნუ მიატოვებ, გარდა საწოლში დროებითი განშორებისა. ნუ გაერიდები მთლიანად და ნუ გადაიყვან მას სხვა სახლში. ეს, სავარაუდოდ, იმ ჩვეული კონფლიქტების ფარგლებშია, რაც ქმარსა და ცოლს შორის ხდება ხოლმე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/58093